ქ. წალენჯიხა 26 სექტემბერი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
სხდომის ოქმი N6

2022 წლის 26 სექტემბერს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარია.

ესწრებოდნენ კომისიის შემდეგი წევრები: ირაკლი სალია, ომარ ქარდავა, სოლომონ სარია, გონერ კვარაცხელია; ასევე ესწრებოდნენ : მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია,მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ავთანდილ გაბელია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი დარსალია, საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რომან კვარაცხელია, საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თემურ ქარდავა, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაისა ჩანგელია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი დათო მესხია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ივანე ბურდული, საკრებულოს აპარატის უფროსი-იზოლდა მოლაშხია, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და საზოგადოების წარმომადგენელი ზურაბ შელია.

დაწყების დრო: 12:00-სთ.
დასრულების დრო: 12:35-სთ

დღის წესრიგი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ

პროექტის წარმომდგენი: **ივანე ბურდული**, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

2.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე

პროექტის წარმომდგენი:**ბაჩანა ქანთარია**, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის

დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 აპრილის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

პროექტის წარმომდგენი:**ბაჩანა ქანთარია,** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3.სხვადასხვა

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ

სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ივანე ბურდულმა. მან განმარტა, რომ ჩვენი მიზანი პირველ ეტაპზე ა(ა)იპ -ებში ხელფასების გაზრდა იყო, რამაც ჯამურად ხელფასების 35% -ით გაზრდა გამოიწვია. მეორე ეტაპი მერიის საჯარო მოხელეების ხელფასების ზრდა გახლდათ. მერიაში სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით საკმაოდ დაბალი ხელფასებია, შესაძლებლობის ფარგლებში გადავწვიტეთ მინიმალური მატება. ბუნებრივია უფრო მაღალი ხელფასებიც გვინდოდა, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენი შესაძლებლობები უფრო მეტს ვერ გაწვდება. მერიის მიერ წარმოდგენილ პროექტში თვალნათლივ ჩანს ხელფასების გათანაბრება. გასულ წლებში ხელფასები არეული და არათანაბარი იყო, სხვადასხვა პოზიციაზე სხვადასხვა ხელფასების არსებობამ გამოიწვია ეს ქაოსი, რაც გამოვასწორეთ და წარმოვადგინეთ პროექტი სადაც ყველა პოზიციაზე თანაბარი ხელფასებია.

საკრებულოს ფრაქცია „წალენჯიხა საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ გონერ კვარაცხელიამ მომხსენებელს ჰკითხა თუ რატომ იყო სხვადასხვა კოეფიციენტები ერთნაირ კატეგორიებზე? ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი არავის ხელფასების გაზრდის, რისი შესაძლებლობაც არსებობს. არ შეიძლება არავის დაკნინება და პიროვნებებად დაყოფა. თუ არ აქვს დატვირთვა კონკრეტულ შტატს საერთოდ გავაუქმოთ, თუ მოსამატებელია მოვუმატოთ ყველას და არ განვაცალკევოთ ფუნქციური დატვირთვით.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ავთანდილ გაბელიამ მომხსენებელს მიმართა კითხვით მე-2 და მე-3 კატეგორიის სპეციალისტების სახელფასო კოეფიციენტების კატეგორიები თანამდებობრივი სარგოებისათვის რატომაა მე- 7 ბადით განსაზღვრული მაშინ როცა მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის და პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის სახელფასო კოეფიციენტების კატეგორიები თანამდებობრივი სარგოებისთვის განსაზღვრულია მე-5 მე-6 ბადით? ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლების, მის აპარატის თანამშრომლების და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლების შრომა უდიდესია და დასაფასებელი. მათი ხელფასი კი მინიმალურად არის გაზრდილი, ასევე საკრებულოს თანამდებობის პირების (კომისიის თავმჯდომარე, ფრაქციის თავმჯდომარე) ხელფასებთან შედარებით მერიის სამსახურის უფროსის ხელფასი უფრო მაღალია რაც სრულიად მიუღებელია ჩვენთვის. მოვიწვიოთ და მოვისმინოთ ა(ა)იპ-ებისა და მერიის სამსახურების 9 თვის ანგარიშები და შეფასების მიხედვით გადავწყვიტოთ მათი ხელფასების გაზრდა. ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელს, რომელსაც დიდი შრომა აქვს, 1500 ლარი ქონდეს და განყოფილების უფროსს 1760 ლარი, ეს ისედაც არ არის სამართლიანი. საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური

მოძრაობის“ სახელით, ვაფიქსირებ რომ მოხდეს ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებისა და მათი აპარატის თანამშრომლების ხელფასების გაზრდა.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ავთანდილ გაბელიას წინადადებას დაეთანხმა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ომარ ქარდავა და აღნიშნა რომ მერიის სამსახურის უფროსის ხელფასს უნდა გაუთანაბრდეს საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეების ხელფასები. ასევე ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებისა და მათი აპარატის თანამშრომლებს გაეზარდოთ ხელფასი. არცერთ კანონში არ წერია პროცენტულად თანაბარი ხელფასების დაწესება და მივცეთ თანამშრომლებს დატვირთვის მიხედვით შესაბამისი ანაზღაურება.

საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ განმარტა რომ არცერთ კანონში არ წერია დატვირთვის მიხედვით თანამშრომლებზე ხელფასების გაზრდა. ხელფასებს პიროვნებებს ვერ მოვარგებთ და ყველას რანგების მიხედვით თანაბარი ხელფასები ექნება. თანამდებობის პირების ანაზღაურების 60 %-ით გაზრდა და რიგითი თანამშრომლის 10%-ით ისედაც არასამართლიანი გადაწყვეტილება იყო და ამიტომ გადავწყვიტეთ დაგვეცვა პროცენტული თანაფარდობა და ხელფასების გათანაბრება. შექმნილი გაუგებრობა კი გამოიწვია წინა წლებში ხელფასების არათანაბარმა გადანაწილებამ .

მერის პირველმა მოადგილემ ივანე ბურდულმა კიდევ ერთხელ გააკეთა განმარტება ხელფასების გათანაბრებასთან დაკავშირებით და აღნიშნა რომ ეს ყველაფერი გამოიწვია წინა წლებში არათანაბრად გადანაწილებულმა ხელფასებმა. ერთი და იგივე რანგის სპეციალისტებს სხვადასხვა ხელფასები ქონდათ დაწესებული ჩვენ კი გავათანაბრეთ და ყველას თანაბარი ხელფასი გავუნაწილეთ, რამაც გამოიწვია სხვადასხვა ბადით შეფასება.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე, კომისიის წევრებმა ხმათა უმრავლესობით (მომხრე-4 (ბაჩანა ქანთარია, ომარ ქარდავა, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია), წინააღმდეგი-1 (სოლომონ სარია)) სხდომის თავმჯდომარის მიერ წამოყენებული, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი: შენიშვნების გათვალისწინებით მიიჩნიეს საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად.

მოისმინეს: 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა კომისიის თავმჯდომარემ ბაჩანა ქანთარიამ და აღნიშნა რომ ხელფასების გაზრდა შესაბამის მუხლში არსებული ეკონომიის საფუძველზე მოხდება და არ მოახდენს შემოსავლებზე გავლენას.

ვინაიდან დღის წესრიგით გათვალისწინებული 1-ლი და მე-2 საკითხი ერთმანეთთან იყო კავშირში და შეეხებოდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების გაზრდას, კამათი ამ საკითხებზე გაერთიანებულ იქნა და იგივე შენიშვნები დაფიქსირდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან მიმართებაშიც.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე, კომისიის წევრებმა ერთხმად (მომხრე-5 (ბაჩანა ქანთარია, ომარ ქარდავა, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, სოლომონ სარია) წინააღმდეგი-არცერთი) სხდომის თავმჯდომარის მიერ წამოყენებული, დღის წესრიგით

გათვალისწინებული საკითხი შენიშვნების გათვალისწინებით მიიჩნიეს საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად.

მოისმინეს: 3.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 აპრილის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელმა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 აპრილის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი გააცნო საკრებულოს წევრებს და აღნიშნა რომ საკრებულოს არამომუშავე წევრებს ხელფასი 100 ლარით გაეზრდებათ, 500 ლარის ნაცვლად 600 ლარი იქნება. ამ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა. კომისიის წევრებმა ერთხმად (მომხრე-5 (ბაჩანა ქანთარია, ომარ ქარდავა, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, სოლომონ სარია) წინააღმდეგი-არცერთი) სხდომის თავმჯდომარის მიერ წამოყენებული, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი მიიჩნიეს საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად.

ამით საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე / ბაჩანა ქანთარია/